ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, იალ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ _____ 24 ივლისი 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/186

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის ვაკანსიების, ადმინისტრირების ვადების განსაზღვრისა და წარმოსადგენი საბუთების ნუსხის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტების, "მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის №395 ბრძანების, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI თავის პირველი - მე-4 მუხლების; ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (N1/1290.21.07.2014); ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (N1/1288, 21.07.2014); ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (N1/1293, 21.07.2014); სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის (N1/1298, 22.07.2014) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანების წარდგინებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები მობილობისათვის 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სკოლების (ფაკულტეტების), მიმართულებების/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად:

   1.1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)**

   1.1.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ისტორია"** - 10 ადგილი (I და III სემესტრი);

   1.1.2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ფილოლოგია"**- 10 ადგილი (I და III სემესტრი);

1.1.3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები"** – 20 ადგილი (I და III სემესტრი);

1.1.4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„საქართველოს ისტორია"** - 3 ადგილი (III სემესტრი);

1.1.5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **ქართველური ენათმეცნიერება** - 3 ადგილი (III სემესტრი);

1.1.6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **თარგმანმცოდნეობა** - 3 ადგილი (III სემესტრი);

1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.2.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა.) **ტურიზმის ბიზნესი** - 4 ადგილი (III და V სემესტრი);

ბ) **მენეჯმენტი** - 2 ადგილი (III სემესტრი);

გ) **ფინანსები** - 2 ადგილი (III სემესტრი);

დ) **ბიზნესის ადმინისტრირება** - 2 ადგილი (V სემესტრი);

1.3. ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.3.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) **ინფორმატიკა** - 14 ადგილი (III და V სემესტრი);

ბ) **მათემატიკა** - 10 ადგილი (III და V სემესტრი);

გ) **გამოყენებითი ეკოლოგია** - 16 ადგილი (III სემესტრი);

1.3.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირება"** - 2 ადგილი (III სემესტრი);

1.3.3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„გეოფიზიკა"** - 3 ადგილი (III სემესტრი);

1.4. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.4.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფსიქოლოგია" - 15 ადგილი (III, V და VII სემესტრი);

1.4.2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამართალი" - 15 ადგილი (III სემესტრი);

1.4.3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება" - 5 ადგილი (III სემესტრი);

2. 2014 - 2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

2.1. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2014 წლის 29 აგვისტო -5 სექტემბერი;

2.2. კრედიტების აღიარება - 2014 წლის 6 -8 სექტემბერი;

2.3. სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და ხელშეკრულებების გაფორმება მათთან - 2014 წლის 9 – 10 სექტემბერი;

2.4. მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2014 წლის 11 სექტემბერი;

3. დადგინდეს მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

3.1. განცხადება (ივსება ადგილზე);

3.2. სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სანოტარო წესით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

3.3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

3.4. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში - სანოტარო წესით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

3.5. საშუალო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებმა);

3.6. სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

3.7. სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (სანოტარო წესით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

3.8. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) ასლი (სანოტარო წესით დამოწმებული);

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს;

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე